ხელშეკრულება №18

გამარტივებული შესყიდვის შესახებ

წალენჯიხა 29.05.2023წ.

ერთი მხრივ, სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მიქავას თემის N2 საჯარო სკოლა (მის: წალენჯიხა,მიქავას თემი ს/კ242737026) **შემდგომში „შემსყიდველი",** წარმოდგენილი დირექტორის **თამარ ქობალიას** სახით და

მეორე მხრივ, შპს ,,მეგა ჰოულდინგ'', ს/კ 405237765. **მისამართი:** ქ. თბილისი, ზ. ფალიაშვილის ქ. N2. **ტელ:** 555751221, **წარმოდგენილი მისი დირექტორის:** მარიამ მამუკაშვილის სახით, **შემდგომში „მიმწოდებელი"** საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობებზე და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე.

1. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

1.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია:ससम მოსწავლეებისთვის თვალსაჩინოებების შესყიდვა.

1.2 კლასიფიკატორის კოდი: (cpv:37500000)

1.3 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 337.40ლარს დანართის შესაბამისად, რაც მოიცავს ობიექტის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

1.4 ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების გაფორმებიდან 2023 წლის 30 ივლისის ჩათვლით, მაგრამ არაუადრეს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ვადა და ადგილი

2.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 50 კალენდარული დღის განმავლობაში.

2.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი: შემსყიდველის მისამართზე.

2.3 მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტის მიწოდება.

3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი და ანგარიშსწორება

3.1 შესყიდვის ობიექტის მიღება - ჩაბარება განხორციელდება, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.2 იმ შემთხვევაში, თუ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება მიმწოდებლის მხრიდან ვადის გადაცილებად.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

3.5 მიმწოდებელი უფლებამოსილია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების და შემსყიდველის ინფორმირების მიზნით გამოიყენოს მოკლე ტექსტური სატელეფონო შეტყობინებები მყიდველის მიერ მითითებულ ნომერზე:

ა) ანგარიშსწორების ვადის შეხსენების შემთხვევაში;

ბ) დავალიანების დროულად გადახდის მოთხოვნის შემთხვევაში;

გ) შეკვეთის ტრანსპორტირების განხორციელების და მიწოდების ვადის შეტყობინების შემთხვევაში;

დ) დღესასწაულების და დაბადების დღის მილოცვის შემთხვევაში.

ე) კომპანიაში არსებულ პროდუქციაზე ფასდაკლების აქციების გამოცხადების შემთხვევაში.

4. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

4.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.
4.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.
4.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მიმწოდებლისათვის ჩასარიცხი თანხის 0.2%-ის ოდენობით.
4.4 საჯარიმო სანქციების დაკისრება ანდა გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

5. ფორს-მაჟორი

5.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
5.2 ფორს-მაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყრების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორს-მაჟორად ითვლება ასევე მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არის დაკავშირებული.
5.3. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა, წერილობით ან ელ. ფოსტის მეშვეობით აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
5.4 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

6. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

6.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმებისა და ხელმოწერის საფუძველზე. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

6.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

6.4 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

7. სხვა პირობები

7.1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.
7.2 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

7.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
7.4 ხელშეკრულების მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით, ხოლო ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს საერთო სასამართლოს მიერ.

8. ინტერესთა კონფლიქტი

8.1 "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

მუხლი 8. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
მიქავას თემის N2 საჯარო სკოლა
ს/კ 242737026
მის: წალენჯიხა.მიქავას თემი
ტელ: 577341974
ბანკის კოდი LBRTGE22
ა/ა GE17LB0121113350271000

დირექტორი:
თამარ ქობალია
_____
(ხელმოწერა) ბ.ა

მიმწოდებელი:

შპს „მეგა ჰოულდინგი"
ს/კ: 405237765
მის.: ქ. თბილისი
ტელ.: 558253153

საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს ,,საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა//ნ: GE04BG0000000020840800

დირექტორი
მარიამ მამუკაშვილი
_____
(ხელმოწერა) ბ.ა

დანართი #1

N	დასახელება	სიფრივი კოდი	რაოდენობა	ზომის ერთეული	ერთეულის ფასი	ჯამი
1	ასაწყობი პირამიდის კომპლექტი	cpv37500000	1.00	ცალი	25.00	25.00
2	ასაწყობი კუბიკების კომპლექტი (12 ცალიანი)	cpv37500000	1.00	ცალი	25.00	25.00
3	კინეტიკური ქვიშა	cpv37500000	1.00	ცალი	12.00	12.00
4	საბავშვო სათამაშო დომინო	cpv37500000	1.00	ცალი	8.50	8.50
5	კუბიკ რუბიკი	cpv37500000	1.00	ცალი	5.00	5.00
6	ხის ასაწყობი ფიგურები	cpv37500000	1.00	ცალი	15.00	15.00
7	მუსიკალური ხმოვანი თვალსაჩინოება	cpv37500000	1.00	ცალი	35.00	35.00
8	მუსიკალური ხმოვანი საკრავი	cpv37500000	1.00	ცალი	33.00	33.00
9	ფერების პალიტრა (150 ცალიანი)	cpv37500000	1.00	ცალი	35.00	35.00
10	სახატავი დაფის კომპლექტი მაგნიტური ასოებით და ციფრებით (ორმხრივი)	cpv37500000	1.00	ცალი	35.00	35.00
11	ხის ასაწყობი ფიგურები	cpv37500000	1.00	ცალი	18.00	18.00
12	ხის წიგნი	cpv37500000	1.00	ცალი	18.00	18.00
13	მსოფლიო რუკა პაზლი	cpv37500000	1.00	ცალი	18.00	18.00
14	კინეტიკური საძერწი	cpv37500000	1.00	ცალი	9.90	9.90
15	გასაშლელი ხალიჩა	cpv37500000	1.00	ცალი	38.00	38.00
16	სპეც ბურთი	cpv37500000	1.00	ცალი	7.00	7.00

სულ ჯამი: **337.40**